

გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის პირობათმორეგულირებელი ორგანიზაციის წევრები

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოდერული ტიპის, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 9-14, შიდა-თიან რაიონებში - 1-6 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 3-8 გრადუსი ყინვა. ზღვის წყლის ტემპერატურა 8 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 761 მილიმეტრი.

ხვალ მოსალოდნელია წვიმა, მომდევნო 2 დღეს - უნალექო ამინდი.

პირილონი

საქართველოს საპარლამენტო დელეგაციამ, გაერთიანებულ სამეფოში ვიზიტის ფარგლებში, გეოსტრატეგიული საბჭოს მრგვალი მაგიდის მუშაობაში მიიღო მონაწილეობა, სადაც რეგიონში შექმნილ ვითარებასა და ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავებაზე ისაუბრეს. «განვიხილოთ, რა შედეგები იყოს ბრიტანეთსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივა როგორც საქართველოს თავდაცვის და უსაფრთხოების განმტკიცების, ასევე, რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით», - განაცხადა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილე გიორგი ხელაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი გეტმინსტერის დემოკრატიის ფონდის აღმასრულებელ დირექტორს ენტონი სმიტს შეხვდა. მსარეგულაციო საპარლამენტო დემოკრატიის მხარდაჭერისთვის, მათ შორის პარლამენტის სახელმძღვანელო ფუნქციის გაძლიერებისა და მოქალაქეების საკანონმდებლო პროცესებში ჩართულობის გაუმჯობესებისთვის.

საბანკო მომსახურების პირობების განსაზღვრის უწყებათაშორის კომისიამ განსაზღვრა საკონკურსო პირობები, რომლის მიხედვითაც პენსიებისა და საპენსიო სესხების გამცემი ბანკი შეირჩევა. კომისიამ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ლევან დავითაშვილის ხელმძღვანელობით მიიღო გადაწყვეტილება, მთავარი ერთი თვის განმავლობაში შეიარჩეს ბანკი, რომელიც ახალი პირობებით გასცემს პენსიებს და სესხებს საპენსიო უზრუნველყოფით. საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვარი 26%-მდე დაიწესა.

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსად გივი თუმანიშვილი დანიშნა. მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მთავრობის მეთაურმა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის ახალ უფროსს წარმატებები უსურვა და ხაზი გაუსვა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის ეფექტური საქმიანობის მნიშვნელობას.

საბავშვო ბაღები ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიებით აღიჭურვება

ბათუმი პირველი ქალაქი იქნება საქართველოში, სადაც საბავშვო ბაღები ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიებით აღიჭურვება. ბათუმის მერიას საკონსულტაციო მომსახურებას კომპანია Fichtner GmbH & Co.KG უწევს, ხოლო გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW) გრანტის სახით აფინანსებს გერმანიასა და საქართველოს შორის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში.

საბავშვო ბაღებში ენერგოეფექტურობის ევროპული სტანდარტის დანერგვასთან დაკავშირებით, ბათუმის მერთან არჩილ ჩიქოვანთან გამართულ სამუშაო შეხვედრაზე კონსულტანტი კომპანიის მიერ წარმოდგენილი ენერგოეფექტურობის შეფასების ანგარიშები განიხილეს.

პროექტის პირველ ეტაპზე მოხდება ბათუმის საბავშვო ბაღებში სხვადასხვა უახლესი ტექნოლოგიის ტესტირება. გათვალისწინებული იყო შეჩვენული 25 საბავშვო ბაღში ენერგოაუდიტის ჩატარება და შედეგების საფუძველზე შესაბამისი სარეაბილიტაციო ღონისძიებების შეჩვენება, ასევე, თითოეული ბაღისათვის



დელეგაციის რეპროდუქციის პროექტის მომზადება. პარალელურად, მეორე ეტაპისთვის შეჩვენებული ბაღები მომზადდება. ბაღების რეაბილიტაცია ეტაპობრივად, 4 წლის განმავლობაში განხორციელდება.

შეხვედრა - ხელშეკრულების მუნიციპალიტეტში

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი გიორგი სურმანიძე ხელგანაწილის მუნიციპალიტეტის მერ ზაზა დიასამიძეს, ტერიტორიულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს და მეწარმეებს შეხვდა.

გიორგი სურმანიძემ 2022 წელს განსახორციელებელი პროგრამებისა და მათი სპეციფიკის შესახებ პრეზენტაცია წარადგინა. მისი სმინა დამსწრეთა მოსაზრებები, რომლებიც აისახება სამინისტროს პროგრამებში. მინისტრმა ისაუბრა სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამებსა და სამომავლო კოორდინირებული თანამშრომლობის საკითხებზე.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ აჭარის უმაღლესი საბჭოს ვიცე-სპიკერი ტიტე არიშიძე, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტყარაძე, ხელგანაწილის საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზ ირემაძე და მინისტრის მოადგილე მირიან ქათამაძე.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის ბიუჯეტი 2021 წლისასთან შედარებით 1 154 476 ლარით გაიზარდა და განისაზღვრა 20 055 441 ლარით.

2021 წელთან შედარებით იზრდება სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა, რომლის დაფინანსებაც განსაზღვრულია 1 415 783 ლარით. ამასთანავე, 2021 წელთან შედარებით გაორმაგებულია სოფლად მეწარმეობის განვითარების ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობა, ეს განისაზღვრება 24 ერთეული პროექტით, რომელიც დაფინანსდება 3 197 640 ლარით.



2022 წელს განხორციელდება 20 სტუდენტის და კურსდამთავრებულის ანაზღაურებადი სტაჟირება, ნაცვლად 10 სტუდენტისა, რომელთა დაფინანსებაც იქნება 90 000 ლარი. ასევე გაგრძელდება აგრარული ექსტენციის მიწოდება, რომლის ფარგლებშიც 3600 ფერმერს საველე პირობებში სოფლის მეურნეობის დარგის სხვადასხვა მიმართულებით გაეწევა სწავლება-კონსულტირება.

დაგეგმილია ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია, საექსპორტო და საინვესტიციო პოტენციალის გაზრდისთვის ღონისძიებების ჩატარება დაფინანსებით - 50 000 ლარი. გასული წლის მსგავსად გაგრძელდება სახანაგ-სათესი ფართობების უფასოდ დამუშავება, რომლის დაფინანსებაც შეადგენს 756 405 ლარს, დაფინანსდება ეზრდება პროგრამას - „მეცენტრულების განვითარების ხელშეწყობა“, რომლის ბიუჯეტიც იქნება 750 000 ლარი.

2022 წლისთვის განახლდა ქვეპროგრამა „მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა“, მისი ბიუჯეტი 295 188 ლარით განისაზღვრა. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშგანახლების ხელშეწყობის ფარგლებში 2022 წლის ბიუჯეტი იზრდება და დაფინანსდება შეადგენს 137 500 ლარს.

ტყის მდგრადი მართვის პროორიტეტის ფარგლებში განხორციელდება 100 ჰა დეგრადირებული ტყის ფართობის აღდგენითი ღონისძიებები. სატყეო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის არანაკლებ 25 კმ სატყეო-სამეურნეო დანიშნულების გზის გაყვანა და არანაკლებ 100 კმ ძველი გზის რეაბილიტაცია და გემპილი, ასევე - მეტყევის სახლის მშენებლობა.

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.

რებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.





„საჭიროა მოსახლეობასთან მეტი მუშაობა და ვაქცინაციის ტემპის ამაღლება“

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრთა კომიტეტის წევრმა ნათია იმნაიშვილმა აჭარის უმაღლესი საბჭოს სესიონზე, რომელსაც ილია ვერძაძე უძღვებოდა, ეპიდემიოლოგიური სიტუაციისა და კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია მოიხმინა.



ნათია იმნაიშვილი აჭარის უმაღლესი საბჭოს სესიონზე ინფორმაციას აწვდის აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრთა კომიტეტის წევრებს.

წელს ზემოთ მოსახლეობის - 60.3%, II დოზით - მოსახლეობის 40.6%, 18 წელს ზემოთ - 53.3%, III ბუსტერის, 18 წელს ზემოთ - 54%.

ჯამში ვაქცინირებულია მოსახლეობის სამიხუნე კონტინგენტის - 88.9%, - აღნიშნა ნინო ნიუარაძემ.

კანონმდებლების შეკითხვები სამედიცინო პერსონალის დროულ ჩართულობასა და კომუნიკაციის დაგვიანებას შეეხებოდა. აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრთა კომიტეტის თავმჯდომარე ილია ვერძაძემ განაცხადა: „საჭიროა მოსახლეობასთან მეტი მუშაობა და ვაქცინაციის ტემპის ამაღლება. რადგან ვაქცინა იცავს ლეიტანობისგან და ამცირებს პოსტიპატულ სექტორზე ზეწოლას, ამიტომ მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოვიდეთ ყველა რეგიონში, იხე სხვების დახმარებით“.

ანბა ჩხიკვაძე

„პროექტების დასრულების შემდეგ პრობლემები აღმოიჭვრება“

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი იმ კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდა, რომლებიც ქალაქში ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებენ. შეხვედრას ესწრებოდნენ ბათუმის მერიის ორგანიზაციების წარმომადგენლები და კონტრაქტორი კომპანიები.



ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი იმ კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდა, რომლებიც ქალაქში ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებენ.

ლაქი მაქსიმალურად იყოს მოწესრიგებული ტერიტორიული სეზონისთვის. ზოგ შემთხვევაში გვაქვს რიგი პრობლემები კომპანიებთან და სწორედ ეს შეხვედრა ემსახურება საკითხების დროულად გადაწყვეტას.

მოგესხვნებათ, ბათუმში არაერთი მასშტაბური პროექტი მიმდინარეობს, როგორცაა გზების რეაბილიტაცია, მუნიციპალური საბავშვო ბაღებისა და სოციალური სახლების მშენებლობა, გარე განათების სისტემის მოწყობა... პროექტების დასრულების შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში არსებული პრობლემები სრულად აღმოიჭვრება“, - აღნიშნა არჩილ ჩიქოვანმა.

ანბა ჩხიკვაძე

სოფლებში ვაქცინაცია და საინფორმაციო შეხვედრები ბრძელდება

მორიგი საინფორმაციო შეხვედრა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ სალიბაურის პირველადი ჯანდაცვის ცენტრში გაიმართა.

რის დასრულების შემდეგ ნატარ-და COVID 19-ის ვაქცინაცია და მოქალაქეები აცხადებენ როგორც პირველი, ისე ბუსტერდოზით.



სოფელ სალიბაურში მორიგი საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.

„ქვეყანაში კორონავირუსის დაფიქსირების დღიდან მოსახლეობასთან მჭიდრო კომუნიკაცია გვაქვს. პაციენტებს ვუწვევთ ონლაინ-კონსულტაციას, საჭიროების შემთხვევაში, გავდივართ ოჯახებში. ამბულატორიაში ყოველ სამუშაო დღეს ვატარებთ COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციას, ხოლო მწოდირად პაციენტებს ვცრით ბინაზე. განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა მომართულობა, რაც სახელმწიფომ 50 წლის ზემოთ მოქალაქეებისთვის ფულადი წახალისება დააწესა“, - თქვა სალიბაურის პირველადი ჯანდაცვის ცენტრის ექიმმა ზურაბ ვაშყაძემ.

„კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია აჭარის ყველა სოფლის ამბულატორიაში ტარდება, რეგიონში დაცულია ტერიტორიული ხელმისაწვდომობის პრინციპი. მოსახლეობას სახლთან ახლოს შეუძლია ჩაიტაროს აცრა და დაიცვას როგორც საკუთარი, ისე გარემომყოფთა ჯანმრთელობა. აჭარაში სოფლად ვაქცინაცია შარშან ოქტომბერში დაიწყო და დღემდე ამბულატორიებში გაკეთებულია 15 415 დოზა ვაქცინა“, - აღნიშნა აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე მარი ზანაქიძემ.

ამ დროისათვის აჭარაში ვაქცინირებულია სამიხუნე მოსახლეობის 88,8%.

ანბა ჩხიკვაძე

ბათუმის №30 საჯარო სკოლის რეაბილიტაციის ბრძელდება

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

გონივრულ დასახლებაში გრძელდება ბათუმის №30 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია.



ბათუმის №30 საჯარო სკოლის რეაბილიტაციის სამუშაოები.

პირველ ეტაპზე შეაკეთეს სახურავი, მოეწყო პანდუსები და ადაპტირებული სველი წერტილები. მეორე ეტაპის სამუშაოების პროექტი ადგილზე განხილეს და სკოლის ადმინისტრაციის წევრებს, დაინტერესებულ პირებს, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველმა მოადგილე ჯემალ სურმანიძემ, სამინისტროს შეხვედრების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად წარუდგინა.

უახლოეს პერიოდში გამოცხადდება ელექტრონული ტენდერი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება შენობის მთლიანი შიდა და ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სრულად კეთილმოეწევა სკოლის ტერიტორია, მათ შორის ღია მოედანი ტრიბუნებით და სკვერი.

ამ დროისათვის აჭარაში ვაქცინირებულია სამიხუნე მოსახლეობის 88,8%.

ანბა ჩხიკვაძე

პირობები გაიუმჯობესეს

ოთარ ცინაიძე 599 85 21 14

შარშან ხულოს მუნიციპალიტეტში რამდენიმე სოციალური პროგრამა მოქმედებდა. 400 ათასი ლარი იყო გამოყოფილი პროგრამისთვის «ხულოს მუნიციპალიტეტში ავარიული სახლების შეკეთება, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ხელშეწყობა». სპეციალურმა კომისიამ 13 ადმინისტრაციული ერთეულში ის ოჯახები შეარჩია, რომლებშიც საფრთხის შემცველ სახლებში ცხოვრობდნენ, სოციალურად დაუცველი ოჯახის სტატუსს ატარებდნენ, ან დაბალი სარეიტინგო ქულა ჰქონდათ.

ლორჯომში, დიოქსისში, დეკანოზოვლებში და რუეთში 6-6-მა ოჯახმა ისარგებლა პროგრამით და საბინაო პირობები გაიუმჯობესა. ხულოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ყინაურის მკვიდრის გელა ბარამიძის 7-სულიანი ოჯახი დანგრევის პირას მისულ ხის სახლში ცხოვრობდა. პროგრამიდან მოხიზვეულ თანხას მან დანაზოვიც დაუმატა და ახალი სახლი აიშენა, სადაც ახალ წელს ახალმოსახლეობა აღნიშნა.

ჭერაიდან წვიმის წყალი ჩამოდიოდა, ფარდალაღა ღია კედლებიდან - ქარი, ბავშვები და მოზარცი დედა სცივებს ვერ იტანდნენ. ახლა ნორმალური საცხოვრებელი გვაქვს. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, მეზობლებს, ახლობლებს მადლობას ვუხდით თანადგომისთვის, - გვითხრა გელამ.

გელა ბარამიძეს ახალმოსახლეობა მიულოცეს, ოჯახს სასურსათო პროდუქტების პაკეტი გადასცეს ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძემ, თავმჯდომარის მოადგილე რამაზ გელაძემ და კომისიის თავმჯდომარე ნარგიზ ლეკაძემ.

მუნიციპალიტეტში კიდევ 15 ოჯახი რჩება, რომლებიც ავარიული სახლებში ცხოვრობენ. საკრებულოს ხელმძღვანელებთან ერთად წლის პროგრამები დაგეგმილია, მაგრამ ადგილობრივი ბიუჯეტი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის პროგრამას ვეღარ გასწვდა. ვიმედოვნებთ, რომ 6 თვეში ჭარბი თანხები გაჩნდება და იმ 15 ოჯახსაც საბინაო პირობები გაუმჯობესდება, თანაც თითოეულ ოჯახზე 15-15 ათასი ლარის გაცემას ვგეგმავთ, - გვითხრა რენარ ბოლქვაძემ.

სასხოვრისი მიუჩინეს

ოთარ ცინაიძე 599 85 21 14

შუახვევის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაკიძეების მკვიდრი შაქრო ტაკიძე უკურნებელმა სენმა შეიწირა. ოჯახის ტვირთი მის მეუღლეს თამარ ჭალაღიძე-ტაკიძეს დააწვა ზურგზე. თამარმა ობლად დარჩენილ შვილსა და ოჯახს მზრუნველი ხელი არ მოაკლდა.

წლებად უხვთოვლიან ზამთარში, ახლოებულან სტუმრად წასულს, ოჯახში დაბრუნებისას საზარელი სანახაობა დახვდა - თოვლის სახურავი და სახურავქვეშა კომუნიკაციები ჩაეჭვია. ისეთი მდგომარეობა იყო, რომ მისაშველებლად მისულმა მეზობლებმა შენობის ნაწილი თოვლისგან დიდი რისკის ფასად გადაწმინდეს.

შუახვევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე, ჭვანის თემის მაჟორიტარი წარმომადგენლობით ორგანოში მალხაზ ტაკიძე სტიქიისგან იავარქმინდ ოჯახში იმყოფებოდნენ.

ამ ეტაპზე დაზარალებულ ოჯახს დროებით საცხოვრის გამოკვლევას. ზარალის ასანახად სტუმრად სოფელში მათ ტერიტორიულად დავეხმარებით. ჩვენი მიზანია, ყველა ოჯახს საკუთარი მოწესრიგებული ჭერი ჰქონდეს, რომ სოფელში ცხოვრება არ მოშალოს, - გვითხრა ომარ ტაკიძემ.

„თუ საქმის ბოლომდე ვერ შეიბრძნობ, რთულია სასურველ შედეგს მიადნო“ ემიგრაციაში აღმოჩენილი ნიჭი

მარიამ ხოთაბაძე 27 48 93

მარიამ ტორუსიანი 1973 წელს დაიბადა, დაამთავრა მანჩესტერის რუსული სკოლა. ის დიასახლისია. როგორც თავად გვითხრა, ადრეულ ასაკში დაოჯახდა და შვილების აღზრდის პარალელურად, უმაღლეს სასწავლებელში სწავლა ვეღარ მოახერხა. მარიამ ნიუარების, წებოვანი ცომის და საღებავების მეშვეობით ხელნაკეთ ნივთებს ამზადებს, თუმცა არასოდეს უფიქრია, ეს საქმიანობა შემოსავლის წყაროდ ექცია. დღემდე სიამოვნებით მუშაობს ამა თუ იმ დეკორატიულ ნივთზე, ამზადებს სამკაულებსაც. მის საყვარელ საქმიანობაზე თავად გვესაუბრება.

- ბავშვობაში რომელი სფერო გიზიდავდათ ყველაზე მეტად?

- ხელოვნება. ვქსოვდი, ვხატავდი, ოლონდ - სამოყვარულო დონეზე. არასდროს მიფიქრია ფართო მასშტაბზე გასვლა. ახლაც ასე ვარ.

- როდის დაიწყეთ ხელნაკეთი ნივთების დამზადება?

- დაახლოებით 3 წლის წინ - ემიგრაციაში ყოფნისას. როცა თავისუფალი დრო მქონდა, ვცდილობდი რაღაცით გამეყვანა. გავაკეთე რამდენიმე სამკაული (ბიჟუტერია), რომ შეგებდე - ცუდი არ იყო, გადავუგზავნე ოჯახის წევრებს ფოტოები და მათაც მოეწონათ. შემდეგ ვიფიქრე - რატომაც არაა, გავაგრძელებ გაკეთებას. ძირითადად, სასაჩუქრედ ვამზადებდი ნივთებს, დავაგროვებდი და ჩამოსვლის დროს ვჩუქნიდი ახლობლებს, მეგობრებს... შემდეგ გადავადვი ნახატებზე და დეკორაციებზე. ჯერ ამ სფეროში დამწყები ვარ და, ძირითადად, სახლისთვის ვამზადებ.

- თუ გახსოვთ, რა გააკეთეთ პირველად?

- პირველად - ზარდახშა სამკაულებისთვის, იდეა ემიგრაციაში ყოფნისას მომივიდა, ასე უფრო მალე გადავიდოდა დრო.

- როგორ და რა მასალით ამზადებთ ნივთებს?

- ძირითადად, უბრალო მასალით - საღებავით, წებოთი და წებოვანი ცომით. ამ ყველაფერს ვაშრობ და ფიგურებს



ფორმას ვაძლევ. ასევე სანაპიროზე ვესირობ ხოლმე და იქ ვეძებ ნიუარებს, სხვა ნივთებს...

- რა დროს ანდომებთ ერთი ნივთის დამზადებას?

- გაჩნია, რას ვაკეთებ. არის ნახატები, რომლებსაც ორი-სამი დღე სჭირდება, ან მეტი, სანამ გაშრობა და მზად იქნება სხვა დეტალების დასამატებლად.

- როგორია თქვენი იდეალური სამუშაო გარემო?

- სიმშვიდე - საკუთარ ოთახში. აქ მაქვს მოწყობილი გარემო, ვუყურებ სერიალებს და თან ვმუშაობ.

- ხომ არ გიფიქრიათ, ეს საქმიანობა ბიზნესად გექციათ?

- ეს ჩემი ჰობია. სიმართლე გითხრათ, არასდროს მიფიქრია, შემოსავლის წყაროდ მექცია, რადგან მხოლოდ დროის გასაყვანად ვაკეთებდი. თუმცა, არავინ იცის, სამომავლოდ რა შეიძლება მოხდეს.

- ნივთზე მუშაობის პროცესში რას გრძნობთ?

- სიმშვიდეს, რადგან შემეყვარდა ის, რასაც ვაკეთებ. თუ საქმე არ გიყვარს, მას ბოლომდე არ შეიგრძნობ, რთულია, სასურველ შედეგს მიადწი. ყოველი ახალი ნაკეთობისას განვითარებას ვგრძნობ.

- რაც თავდაპირველად გაქვთ ჩაფიქრებული, ისეთი გამოვლით?

- თავდაპირველად ჩაფიქრებული კონკრეტულად არაფერი მაქვს, როდესაც ნახატზე მუშაობას ვიწყებ, გზადაგზა მომდის იდეები.

- როდის ხართ ყველაზე ბედნიერი?

- მაშინ, როდესაც ვმუშაობ კონკრეტულ ნივთზე, მაშინ, როცა მეგობრებს და ახლობლებს იგი მოსწონთ. მაშინ, როდესაც ჩემი ნამუშევარს ვჩუქნი სხვას და ვხედავ, როგორი სითბოთი ებყრობა... ეს ყოველივე ძალიან მამბედნიერებს.

- შეკვეთით თუ დაგიზადებიათ რამე?

- შეკვეთით არასოდეს დამიზადებია ნივთი და როგორც გითხარით, არც თანხა ამიღია ჩემი ნამუშევრების სანაცვლოდ.

- დღეს ძალიან ბევრი ნიჭიერი ხელოვანი იჩრდილება და თავის პოტენციალს ვერ ანვითარებს, როგორ ფიქრობთ, რაშია პრობლემა?

- გეტანხმებით, ძალიან ბევრი ნიჭიერი ადამიანი ვერ ახერხებს თავისი ნიჭის და პოტენციალის რეალიზებას. ალბათ, პრობლემა იმაშია, რომ ვერ რისკავენ ნიჭის აფიშირებას, კრიტიკის შიში აქვთ. ბევრისგან მსმენია, რომ ძალიან ნიჭიერი ხელოვანი ადამიანს კრიტიკის გამო საყვარელი საქმიანობა მიუტოვებია, მე მაინც ვფიქრობ, რომ თუ საქმე გიყვარს, თუ ეს შენ სიამოვნებას განიჭებს და გაბედნიერებს, კრიტიკაც უნდა აიტანო და ბევრი უხეშად ნათქვამი სიტყვაც, ჯანსაღ კრიტიკაზე არ მაქვს საუბარი.

- სამომავლოდ რა გგეგმები გაქვთ?

- ჯერ ვფიქრობ, გავაგრძელო თუ არა ეს საქმიანობა, რაც ჯერ მხოლოდ ჩემი ჰობია. სიამოვნებას მანიჭებს ყოველი ახალი ნამუშევრის დასრულება. დრო გვირგვინებს ყველაფერს, თუ ხალხს მოწონება და სიმპათია დაგიმსახურე, ეს იქნება ჩემი განვითარების და ამ სფეროში გაფართოების სტიმული. როგორც ვთქვი, ჯანსაღ კრიტიკასაც ავიტან.



დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა მიმდინარეობს

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ბაგრატიონისა და შარტავას, ბაგრატიონისა და აღმაშენებლის ქუჩების, ბაგრატიონის ქუჩისა და აეროპორტის გზატკეცილის კვეთებთან დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა მიმდინარეობს

რამდენიმე ლოკაციაზე გრძელდება ქვაფენილიანი ქუჩების მოწესრიგების სამუშაოები. მოიხრეშა გოგებაშვილის ქუჩისა და აფსაროსის გზატკეცილის მონაკვეთები. ფრიდონ ხალვაშის ჩიხის №12-ში მდებარე სპორტულ მოედანს რეაბილიტაცია ჩაუტარდა. სხვადასხვა ლოკაციაზე მიმდინარეობს დაზიანებული თოვლდამჭერებისა და ღარების სარეაბილიტაციო და სამონტაჟო სამუშაოები. დაზიანებული წყალსაწორე მილებისა და წყალშემკრები ღარების შეკეთება და ახლის მონტაჟი განხორციელდა თამარის დასახლების სხვადასხვა მისამართზე. აღმაშენებლის ქუჩისა და ანგისის შესახვევის მონაკვეთებზე მიმდინარეობს წყალარინების ძველი ქსე-

ლიდან ახალ ქსელზე გადაართვა. სანიაღვრე არხებისა და ჭებების გაწმენდით სამუშაოები განხორციელდა ასათიანის, ჯავახიშვილის, თავდადებულის, მაჭახელას, ლერმონტოვის, გრიბოედოვის, სვიშველსკის, ხიმშიაშვილისა და თაყაიშვილის ქუჩებზე, აეროპორტის გზატკეცილზე, ურეხის შესახვევსა და თოდოგაურის დასახლებაში. ძველი ბათუმის ტერიტორიაზე შეკეთდა დაზიანებული წყალარინების ჭები და სანიაღვრე სისტემა. ბუკნარსა და შარაშიძის პირველ ჩიხში მიმდინარეობს წყალმომარაგების ავარიული მილის აღდგენითი სამუშაოები. იწმინდება ქალაქში არსებული ტბები. სულაბერიძისა და ქობულეთის ქუჩების მიმდებარე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები დამონტაჟდა. დასუფთავების სამუშაოები განხორციელდა ძველი ბულვარის სანაპირო ზოლზე. რუსთაველის ქუჩაზე გრძელდება მცენარეების დარგვა, ასევე ქალაქის მასშტაბით ეზოების მოწესრიგებისა და პალმების გასხვლის სამუშაოები.

